Sano
ჯანსაღი კვება

## Piglobin

Art. Nr. 8029
ბუნებრივი იმუნოგლობულინი გოჭებისთვის

**პროდუქტის აღწერილობა:**

Piglobin-ის მოხმარებით უზრუნველვყოფთ გოჭის ორგანიზმს ანტისხეულებით, სასარგებლო ბაქტერიებითა (რძემჟავა ბაქტერიები) და ენერგიით. ვიცავთ მას მონელების პრობლემებისა და სასიკვდილო დაავადებებისგან.

Piglobin-ის საშუალებით უზრუნველვყოფთ სუსტი გოჭების სიცოცხლის უნარიანობას, ეფექტურად ვამზადებთ წონამატისა და დროული ასხლეტისთვის.

Piglobin არის სპეციალური იმუნოგლობულინი, პრობიოტიკი, მოქმედი ნივთიერება StabiloSan და ფრუქტოზა. მისი გამოყენებით ძლიერდება ახალდაბადებული გოჭის იმუნიტეტი, წესრიგდება მონელების პროცესი და იმატებს სიცოცხლისუნარიანობა ზრდის საწყის ფაზაში.

Piglobin-ის შემადგენლობა და დანიშნულება:

- სპეციალური იმუნოგლობულინი ზრდის იმუნოგლობულინის შემცველობას სისხლში, რაც მნიშვნელოვანია სიცოცხლისუნარიანობისთვის.
- ფრუქტოზა ამარაგებს ენერგიით.
- პრობიოტიკი უზრუნველყოფს მონელების სტაბილიზაციას.
- StabiloSan ზრდის სიცოცხლისუნარიანობას.

Sano
ჯანსაღი კვება

## Piglobin - ის მოხმარების წესი:

დაბადებისას გოჭისთვის აუცილებელია საშუალოდ 200 მლ ხსენის მიღება, ხშირად ეს შეუძლებელია გოჭების სიმრავლის გამო. ხსენის არასაკმარისი რაოდენობა კი იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და შესაბამისად იზრდება ინფექციური დაავადებების რისკი.

დაბადებისთანავე მაქსიმუმ 3 საათის განმავლობაში დოზატორით შეასხურეთ გოჭს პირის ღრუში. ამით ვიცავთ გოჭს შესაძლო დაავადებებისგან, ვამცირებთ გოჭების სიკვდილიანობას. შესაბამისად ვზრდით ასხლეტილი გოჭების რაოდენობას თითო ნეზვზე წელიწადში. რაც წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა მომგებიანი ფერმერული საქმიანობისთვის.